საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

ქ. ბათუმი **12 სექტემბერი, 2016 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის N7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის დებულების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N68 დადგენილების, ამავე საბჭოს 2016 წლის სექტემბრის ოქმის, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (12/09/2016) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის N7 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ფაკულტეტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ფაკულტეტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტი;
ბ) ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი;
გ) საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი;
დ) საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი.
ე) ეთიკის კომიტეტი;
ვ) კურიკულუმის კომიტეტი;

ბ) ფაკულტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 3. ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებია:

ა) ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტი;

ბ) ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი;

გ) საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი;

დ) საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი.

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურს და კანცელარიას.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**